**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . | 10 მ. — კ. |
| 11 ,, | . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 ,, | . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 ,, | . . | 8 ,, — ,, |
| 8 ,, | . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 ,, | . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 ,, | . . | 6 ,, — ,, |
| 5 ,, | . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 ,, | . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 ,, | . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 ,, | . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 ,, | . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 195 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 195

**წლ ური ფასის ნაწილ ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ, მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და სალამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—17). (იხ. განცხ. მე-4 გვ.). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

საჭიროა

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი ისურებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

სასწავლებელი და პანსიონი

## გ. ლ. კუზანოვისა.

პანსიონერთა, ნახევარ-პანსიონერთა და გარედგან მოსიარულე მოსწავლეთ მიიღებენ 21 აგვისტოდგან. სწავლა დაიწყება 1 ლ სეკდებერს.

ლერმონტოვის ქუჩა (წინად ნაგორნაია) № 26. (1—2).

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

**სამეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბერის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასშა; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი. 13 14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერირს მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

## მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინოს თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности). (2—2).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მსივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотноcти.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა

**მ. ზ. აჰვეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაგანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $1—1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზრერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Пава сарднна*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**ზრ. მ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—ბარონის ქუჩა, № 18, მესხიშვილის სახლი, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.


## უმაღლესი მანიფესტი

(შემდეგი *)

XIX, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე დანაშაულობა ჩაუდენია, ებოძოს შემდეგი წყალობა და შეღავათი: 1) ეპატიოს სასჯელი ყველას, ვისაც ისეთი დანაშაულობა ჩაუდენია, რომლისთვისაც კანონით, როგორც უმაღლესი სასჯელი, გადაწყვეტილია: ჩაგონება, შენიშვნა, საყვედური, ჯარიმა სამას მანეთამდე, დაპატიმრება, საპყრობილესა ან ციხეში ჩასმა, ისე კი, რომ არ ჩამოერთვას ზოგიერთი განსაკუთრებული უფლებ ან უპირატესობა და სამსახურით არ იქნას დასჯილი. სასჯელთა დებულობის (კანონთა კრებული, ტომი მე-XV, გამოც. 1885 წ.) მე 65 მუხლი მე-2—9 პუნქტის თანახმად; ეპატიოს სასჯელი ყველას, ვისაც დანაშაულობა ჩაუდენია იმით, რომ ტყე აუჩეხია და დაურღვევია შემდეგ უწყებათა ტყეების წესები: სახელმწიფოსი, სატყეო და სამთო უწყებებისა, სამეფოსი. სამეფო სახლის კარისა და საუფლისწულოსი; დაურღვევია დადგენილებანი ლოვიჩის სამთავროს და ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების ტყეთა შესახებ; დაურღვევია წესები ტყეების დაცვის შესახებ (კანონთა კრ. მე-XV ტომი, სასჯელთა დებულების მუხლები მე-$57^{2}$, $67^{3}$, $57^{4}$, $57^{5}$, $57^{6}$, 1902 წ. გაგრძ. და 1897 წელს 7 აპრილს უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი), ეპატიოს იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ ასეთ დამნაშავეს ჯარიმად უნდა დაედოს სამას მანეთზე მეტი; განთავისუფლებული უნდა იქმნან სასამართლოსა და სასჯელისაგან, აგრეთვე სასჯელთა დებულების მე-$158^{1}$ მუხლში აღნიშნულ ზარალის ასანაზღაურებელ ორკეც ჯარიმისაგან (ეს ორკეცი ჯარიმა ედება თავის ნებით ტყის აჩეხა, წახდენისა ან კანონის წინააღმდეგ ხე-ტყის საქონლის დამზადებისათვის) ყველა ზემოდ ჩამოთვლილი დამნაშავენი, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენის ტახტის მემკვიდრის დაბადების დღემდე არ აღძრულა საჩივარი სისხლის სამართლის წესით, ან სასამართლოს განაჩენი არ გამოცხადებულა, ან განაჩენი სისრულეში არ მოყვანილა. ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილს სასჯელს ჯერ კიდევ იხდიან ამ გვარი დამნაშავენი. 2) ეპატიოს ყველა იმას დანაშაული, ვისაც სამსახურის დროს ჩაბარებული ქონება, არა უმეტესი ათას მანეთისა, მიუთვისებია და დაუსაკუთრებია და ამ გვარ დანაშაულობისთვის სასჯელს იხდის, თუ მემკვიდრე ცესარევიჩი დაბადების დღემდე მითვისებული და გაფლანგული ქონება სავსებით დაუბრუნებია. 3) განთავისუფლებულ იქმნას პასუხის გებისა და სასჯელისაგან ის, ვისაც ისეთი დამნაშაულობა ჩაუდენია, რომელიც სასჯელთა დებულობის მე-193, 194, 1941 და 1575 მუხლებში აღნიშნული (კანონთა კრებული ტომი მე-XV გამოცემა 1885 წლისა, 1902 წლის გარ.). 4) სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სასჯელის ვადა ორი მესამედით შეუმცირდეს იმას, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე იმაზე უფრო დიდი დანაშაულობა ჩაუდენია, რომელიც ამ მე-XIX მუხლის პირველ პუნქტშია აღნიშნული და რომლისთვისაც სასამართლომ უნდა გადაუწყვიტოს დაპატიმრება, საპყრობილესა ან ციხეში ჩასმა, უფლებათა ან ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლებისა და უპირატესობისა ჩამოურთმევლად; შეუმცირდეს სასჯელის ვადა იმასაც, ვისაც უკვე გადაწყვეტილი აქვს ეს სასჯელი და იხდის კიდეც. 5) იმ თანამდებობის კაცს, რომელსაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე სასამართ-

*) იხ. ივერ. № 194.

ლოს განაჩენით (ან უფროსების განკარგულებით) სასჯელთა დებულების მე-65 მუხლის 2—9 პუნქტებში აღნიშნული (კანონთა კრებული, ტომი მე-XV, გამ. 1885 წლ.) სასჯელი გადახდა, არ ჩაეთვალოს ეს სასჯელი დაბრკოლებად სამსახურში წინ წაწევისა, პენსიებისა და ჯილდოების მიღების საქმეში; ასეთ მოხელეს არ შეეძლება მიიღოს მხოლოდ ის ნიშნები, რომელიც უმწიკვლო სამსახურისთვის ეძლევათ მოხელეებს, და ორდენი წმ. ვლადიმირისა. 6) ის თანამდებობის კაცი, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე სამსახურიდამ გამორიცხულ იქმნა (კანონთა კრებ. მე XV ტომი, სასჯელთა დებულების მე 65 მუხლი, პუნქტი 1-ლი, გამოც. 1885 წ.) ისეთ დანაშაულობისთვის, რომელსაც სარჩულად ანგარება ან სხვა პირადი ანგარიში არ ედო, ჩაითვალოს თანამდებობიდან გადაყენებულად, ხოლო ასეთსავე დანაშაულობისთვის სამსახურიდან გამოსარიცხი მოხელე—თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნას. 7) ის თანამდებობის კაცი, რომელსაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ამა მე-XIX მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული დანაშაულობანი ჩაუდენია და ამისათვის გადაწყვეტილი ჰქონია დროებით ციხეში ჩასმა ზოგიერთ უფლების და უპირატესობის ჩამორთმევით (კანონთა კრებული ტომი მე-XV, სასჯელთა დებულების მე-50 მუხლი, რომელიც ამავე მე-13 პუნქტშია აღნიშნული (დაპატიმრების ვადის ერთი მესამედით შემსუბუქება), ჩათვლილ იქნას სამსახურიდან გამორიცხულის ნაცვლად თანამდებობიდან გადაყენებულად. 8) იმ თანამდებობის კაცს, რომელსაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადემდის დღემდე ამა მე-XV მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებში არ აღნიშნული დანაშაულობანი ჩაუდენია და ამისათვის გადაწყვეტილი ჰქონია სამსახურიდან გამორიცხვა ან ამ დანაშაულისათვის ეს სასჯელი მოუხდა კიდეც, აგრეთვე იმას, რომელიც თანამდებობიდან გადაუყენებიათ და აუკრძალავთ სამსახურში ხელახლა შესვლა, ან თანამდებობის მიღება,— ასეთ დასჯილს განაჩენის ძალაში შესვლიდან ათის წლის შემდეგ უფლება მიეცეს ხელ-ახლა შევიდეს სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში, ან დაიჭიროს წინანდელი თანამდებობა. 9) განთავისუფლებულ იქნას პასუხის გებასა და სასჯელისაგან ის, ვისაც დანაშაულობა ჩაუდენია (ისეთი, რომელიც ვოლოსტის სასამართლომ უნდა გაარჩიოს), მაგრამ ვინც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე პასუხის გებაში არ მიუციათ, ან ვის წინააღმდეგაც განაჩენი არ გამოუცხადებიათ, ან განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ; განთავისუფლებულ იქნნს სასჯელისაგან აგრეთვე ისიც, ვინც ამ ჟამად იხდის ვოლოსტის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სასჯელს. 10) ეპატიოს ფულის გადახდა იმას, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე სასამართლომ გადაუწყვიტა არა უმეტეს ოც-და-ათ თუმნიან ჯარიმის გადახდა ხაზინისა, საუფლისწულო უწყებისა, სამეფო სახლის კარის უწყებისა და კაბინეტისა, ან სატუსაღოების ასაშენებელ თანხის სასარგებლოდ; ეპატიოს იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა, მაგრამ გადაწყვეტილება-კი სისრულეში არ იქნა მოყვანილი; ყველა სხვას-კი, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ოცდა-ათ თუმანზე მეტ ჯარიმის გადახდა ხადაეწყვიტა, ეპატიოს და აღარ გამოერთოს ამ ჯარიმიდან ოცდა-ათი თუმანი 11) მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ჩადენილ ისეთ დანაშაულობისთვის, რომლის გამოც დამნაშავეს ფული უნდა გადახდეს სისარგებლოდ ხაზინისა, საუფლისწულო უწყებისა, სამეფო კარის უწყებისა, ჩვენის კაბინეტისა და აგრეთვე შემდეგ თანხებისა: ა) სატუსაღოების ასაშენებლისა, ბ) საზღვაო და გ ისეთ თანხების სასარგებლოდ, რომლებიც უნდა შესდგეს თანახმად სამთო წესდების მე-737 მუხლისა (კანონთა კრებული ტომი მე-VII, 1902 წლ. გაგრძ.) და სატყეო წესდების მე—891 მუხლისა (კანონთა კრებულის მე VIII ტომი, ნაწილი 1. გამოცემული 1893 წ.),—თუ ვინიცობაა, დამნაშავეს არ შეუძლიან ხსენებულ ფულის გადახდა, იგი (დამნაშავე) არ უნდა იქნას პირადად შეპყრობილი და საზოგადო სამუშავოს მოსახდელად, ან ფულის მოსაგებად არ უნდა იყოს გაგზავნილი; ის-კი, ვინც ამ ჟამად, ფულად გასტუმრების ნაცვლად, უკვე იხდის ხსენებულ სასჯელს, განთავისუფლებულ იქნას პირად შეპყრობისა და მუშაობისაგან.

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

სამხედრო მიმომხილველების წინასწარმეტყველებანი. — პორტ-არტურთან. — წვრილი ცნობები.

«რუსსკი ვედომოსტის» სამხედრო მიმომხილველი ს. კ. 19 აგვისტოს სწერდა:

ჩვენის ლაშქრის შუბლის ბრძოლა იაპონელებთან 13 აგვისტოს, აღმოსავლეთის მხარეს, გენერალ კუროკიმ გადასწყვიტა და ამ ჩვენთვის შავის დღის ბრძოლას ის შედეგი ჰქონდა, რომ ჩვენმა ჯარმა უკუ იწია და ლიაოიანის სიმაგრეებს ამოეფარა.

ეს უკან დაწევა, კორესპონდენტებს რომ დავუჯეროთ, წინადვე იყო გადაწყვეტილი. ხოლო ეს ამბავი არ ეთანხმება იმ ნამდვილ ცნობებს, რომ ანშანჯანთან და აღმოსავლეთის მხარესაც კარგი სიმაგრეები გვქონდა. ამას გარდა, ჩვენ იქ ძალიან დიდი ჯარი გვყავდა, თითქმის ცამეტ დივიზიამდე (188 ბატალიონი ქვეითის ჯარისა და 120 ესკადრონი კავალერიისა და 562 ზარბაზანი) ანუ 235,000 მეომარი. არა გვგონია, რომ ამოდენა ლაშქრის უკან დაწევა და ისეთ ფარგალში შემწყვდევა გვდომოდეს, როგორც ლიოიანის ზღუდეებია. ლიოიანს დიდი მოედანი არ უჭირავს, სულ ირგვლივ 8—10 ვერსია. ამისთანა ვიწრო ფარგალში მომწყვდეული ლაშქარი ფრთას ვერ გაშლის, თაოსნობა არ შეუძლიან და ისე უნდა იყოს გაჩერებული, როგორც ციხეში მოქცეული ჯარი. უმრავლეს მტერს ადვილად შეუძლიან გზა გადუჭრას და ალყა შემოარტყას. საეჭვოა, რომ გენერალ კუროპატკინს ამისთანა გეგმა ჰქონდეს შემუშავებული და მილიონის მეოთხედი ჯარი უმოძრაოდ გაეჩერებინა ექვს თვეში ხელად გაკეთებულ სანგარების იმედით.

ჩვენი და უცხო ჟურნალ-გაზეთები ხშირად ლიოიანს პლევნას უდრიან. ხოლო ეს სრულიად უსაფუძვლოა. ოსმანფაშა მთლად ოსმალეთის ლაშქრით კი არ იყო ჩაკეტილი პლევნაში, არამედ ამ ლაშქრის ნაწილი ჰყავდა, ერთი კორპუსი, სულ 40,000 მეომარი. ამ ჯარს დროებით უნდა შეეჩერებინა რუსის ლაშქარი, რომ მეხმედ-ალისა და სულეიმან-ალის ლაშქრებს თავისუფლად ემოქმედნათ. გენერალ კუროპატკინმა რისთვის უნდა გასწიროს თავის ლაშქარი, როდესაც ამის მეტი სხვა ლაშქარი არა ჰყავს? მანჯურიის მეორე ლაშქარი ხომ გაზეთების პროექტებსა და მითქმა-მოთქმაზეა დამყარებული...

ჩვენის აზრით, რუსის ჯარის უკან დაწევა 13 აგვისტოს ბრძოლის შემდეგ იმის ნიშანია, რომ გენერალ კუროპატკინს უნდოდა ამ ადგილს შეჰბრძოლებოდა იაპონელებს და მუკდენისკენ ანუ ჩრდილოეთისკენ დაწევას ამჯობინებს. სწორედ ასეც უნდა მოქცეულიყო. თუმცა ჩვენ ძალიან ვცდილობდით და ჯარს ვაგროვებდით, მაგრამ იაპონიას მანჯურიაში თითქმის ერთი-ორად მეტი მეომარი ჰყავს. გერმანულ გაზეთების ცნობები, რომ გენერალ კუროკის ამ ბოლოს დროს კიდევ მიემატა ჯარი, მართალია უნდა იყოს. ეხლა იმას უნდა ჰყავდეს 148,000 მეომარი და სულ სამს ლაშქარში უნდა იყოს 355,000 მეომარი 1,002 ზარბაზნით. აქედგან ლიაოიანთან იქმნება 325,000 მეომარი 900 ზარბაზნით, ე. ი. ჩვენს ჯარზე 90,000 მეომრითა და 365 ზარბაზნით მეტი. მართალია, ჩვენი ჯარი სიმაგრეებზეა მოფარებული, მაგრამ ვინ იცის ნამდვილად, რომ იაპონელები სწორედ ლიაოიანს დაეცემიან და იერიშს მიიტანენ?

ჩვენა გვგონია, რომ ლიაოიანის დაცლის უკვე შესდგომია რუსისი ჯარი და იქ მხოლოდ მცირე რაზმი დარჩება, რომ მტერი ცოტას ხანს შეაჩეროს, ვიდრე ჩვენი ლაშქარი სამშვიდობოს გავა. ის ცნობები, რომ მრავალი ეტლი მოდის არამც თუ მუკდენსა, არამედ უფრო აქეთაც, საწყობებს სცლიან და საავადმყოფოები გადმოაქვთ,—ჩვენს აზრს ამტკიცებს. სჩანს გენერალ კუროპატკინს სრულიად არა სდომებია ლიაოიანში გაჩერება ომის ბედის გადასაწყვეტად.

—

«ბერლინის ტაგებლატის» სამხედრო მიმომხილველი სწერს ლიაოიანის შესახებ:

გენერალ კუროპატკინს ამ ჟამად 180,000 მეომარი ჰყავს ლიაოიანში; იაპონელებს კი მარშალ ოიამას სარდლობით 240,000 მეომარი მოჰყავთ. გენერალ კუროპატკინის გამარჯვებას ის მოასწავებს, რომ ლიაოიანზედ მიმავალი მტერი სამის კვირით შეაჩერა და ამ დროს თვითონ ძალა მოიკრიბა.

ლიაოიანის მაღლობებზე გენერალ კუროპატკინმა მკვიდრი სიმაგრეები გააკეთა, რომლებსაც წინ რამდენიმე თხრილები და სანგრები აქვს მრავალ-კეცად შემოვლილი. სანგარების გზაზედ მავთულალავნებია და ნაღმიც არის ჩამალული. სათადარიგო ჯარისთვის მიწურებია გაკეთებული, რკინის კოჭებითა და სახურავით, რომლებსაც ყუმბარა ვერას დააკლებს. მიწურები გაერთებულია ხვრელებითა და ტელეგრაფით. რუსის გენერალ-ველიჩკოს, რომელსაც მეტად ნიჭიერ ინჟინერის სახელი აქვს მოხვეჭილი, ისეთი ძლიერი სიმაგრეები გაუკეთებია, რომ მცირე რაზმიც უმრავლეს მტერს თამამად მოიგერებს, ლიაოიანის სიმაგრეებთან მხოლოდ უძლიერეს არტილერიას შეუძლიან ბრძოლა. საეჭვოა, რომ იაპონელებს ამჟამად ესეთი არტილერია ჰქონდეთ ლიაოიანთან, რადგან ციხის სანგრევი ზარბაზნები ჯერ პორტ-არტურთან სჭირდებათ. (ბირ. ვედ.).

—

გაზეთ «სტანდარდსა» სწერს გენერალ კუროკის ლაშქარში მყოფი კორესპონდენტი:

გაუგებელებიათ ხმა, ვითომც იაპონელების არტილერია ბევრად უკეთესია რუსის არტილერიაზედ. ეს მართალი არ არის. პირიქით, იაპონელების ზარბაზნები რუსებისაზედ ცუდია; ისე შორს არა სცემენ, მძიმე არიან და ვერც მიატრიალ-მოატრიალებ, როგორც რუსის ზარბაზნებს. ერთად ერთი სიკეთე იაპონელების არტილერიისა ის არის, რომ ყუმბარებს საშინელი ძალა აქვს და, როცა გასკდება, დიდს მანძილს დააზიანებს. (პ. ვ.).

—

ფრანგულ და გერმანულ გაზეთებს ატყობინებენ ლიაოიანიდგან 17 აგვისტოს ნაშუადღევის 1 საათსა და 21 წუთზე გამოგზავნილ დეპეშით, რომ 4 საათის წინად, ვიდრე ომი დაიწყებოდა, რუსის ჯარს სრულიად არ ეტყობოდა უკან-დაწევის განზრახვაო. (რ. ვ.).

—

ლიაოიანიდან ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკოს შემდეგი დეპეში გამოუგზავნია 18 აგვისტოს:

დღეს, 17 აგვისტოს, იაპონელებმა სამს მხარეს თავგანწირულად მოიტანეს იერიში ლიაოიანზე. დილის 5 საათიდგან საღამოს 9 საათამდე სასტიკი ბრძოლა იყო, რის მსგავსი ჯერ არ ყოფილა ამ ომში. მტერი სამის მხრიდგან მოდიოდა. წინანდელ გამარჯვებით წახალისებული სცდილობდა უთუოდ აეღო ჩვენი მკვდრი სიმაგრე. დიდძალი ჯარი მოახვია და თავის არტილერიით სცემდა განუწყვეტლივ. დაღალულ ჯარს სავარაუდო რაზმები ეშველებოდა. ორთავ მხარეს 600 ზარბაზანი გრიალებდა. თოფის გრიალი ისე საშინელი იყო, რომ ზარბაზნისას ახშობდა.

ღამე დავბრუნდი. დაწვრილებით ხვალ. ეხლა შემიძლიან ვსთქვა, რომ ეს ჩვენი პირველი ნამდვილი გამარჯვებაა. მტერი ყველგან უკუ-იქცა, მრავალი ბატარეა შეემუსრა, ქვეითი ჯარი გარბოდა (რ. ს).

—

ჩინელების სიტყვით, რომლებსაც პორტ-არტური 23 აგვისტოს (ახ. სტ.) მიუტოვებიათ, იაპონელები დღე და ღამე განუწყვეტლივ ყუმბარებს ესვრიან პორტ-არტურს, რის გამო პორტ-არტურის ნავთსადგურში გემების გაჩერება აღარ შეიძლება... მეციხოვნეები მკვდრების დამარხვას ვეღარ ასწრობენ; საშინელი მძოვრის სუნი მეციხოვნეებს მეტად სტანჯავს.

პორტ არტურის ნავთსადგურში იმდონი ყუმბარა სკდება, რომ წყალი აქაფებულია, სწორედ რომ სდუღს. სამს დღეში 3,000 ყუმბარა მაინც დაეცემოდა, თუმცა ზიანი შეუმჩნეველია. ჩინელების სიტყვით ციხე ისე საოცრად არის გამაგრებული, რომ მისი დამხობა აროდეს არ შეიძლება.

პრინც ფუშიმას მაგიერ, რომელიც აქამომდე იაპონელების ჯარის სარდლად იყო პორტ-არტურთან, გენერალი მატსიუსუმა დაუნიშნავთ. მარშალი იამაგათაკი, რომლისთვისაც პორტ-არტურის აღება უნდა დაევალებინათ, იაპონიას ვერ მოშორდება, რადგან ის მიკადოს უახლოესი მოთათბირეა და, ამას გარდა, მოხუციც არის და ომის ველზე შეწუხებას ვეღარ აიტანს. (ნოვოსტი).

—

გაზეთ «მატენის» კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდგან, ვითომც იაპონიის სამხედრო მინისტრმა აცნობა სხვა მინისტრებს, პორტ-არტურის იერიშით აღებას თავი უნდა დავანებოთ, რადგან ეს შეუძლებელი არის, კვალად მრავალ მსხვერპლს შეიწირავს. და ამის გამო მარშალ ოიამას დავავალე ალყის შემორტყმით დაამხოს ციხეო. (იქვე).

—

ინგლისის საჰაერო სტატო ჟურნალი იუწყება, იაპონელები ამ ომში ფრანებს უშვებდნენ, რომლებსაც პატარა კალათებს აბამდნენ და შიგ კაცსა სვამდნენო. ყოველ ლაშქარში ასეთი ფრანები აქვთ და ხშირად ხმარობენ კიდეც. ამ საშვალებით ისინი რუსის ჯარის მდგომარეობას იკვლევენ და მასთან ზარბაზნებსაც სწორედ უმიზნებენ. ფრანი შორიდგან არა სჩანს და, რო დაინახონ კიდეც ვერას დააკლებენო. (რუს.).

## ომის სურათი

(ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილიდგან „რუსსკ. სლოვოში“)

სული შეიხუთა. ვაგონში, ჰაერის მაგიერ, ალსა ჰყლაპავ. ეს არის მოსულა ალსასრული. გავიძრე და ვისროლე ტანთსაცმელი. პერანგი ტანს შეჰხორცებია. მაღალი წაღები გახურებულია. ფეხები თითქო ცხელ ტაფაზე დაგიწყვიაო. ერთს წამს რომ მზემ დაგკრას, სულ დაგადუღდებს...

ჩვენს წინ როტა მიდის, ძლივს მიიზლაზნება. საშინელი სანახავია ეს მომთმინო მოწამეები, აბგებით ზურგზე და დაკეცილ შინელებით მხარზე, ქვაბებითა და სხვა რაგინდარათი დატვირთული. ზოგს როგორღაც სახედარი უშოვია და თავის ხურდამურდათი დაუბარგნია. უსამართლობის ამტანს სახედარს აქ კი მოთმინება გამოლევია და გაჯიქებულა; მაგრამ თითონვე მოუსაზრია, რომ სიკერპით ვერას გახდება და ბარბაცით აჰყოლია ჯარს...

აგერ, როტას ორი სალდათი მოშორდა და რაღაც მოაქვთ.

— დაჭრილი თუ არის?

— დღეს ხომ ბრძოლა არა ყოფილა.

— ავადმყოფია!

— რაო, ძმებო, რა ცამართვია?

— მზემ დაჰკრა, თქვენო კ—ავ!

— ასე რომ წვეთია.

შინელში რაღაც ცახცახებს, სულ ჰუ-ჰუ-ჰუ ისმის.

— ექიმი არის?

— არა, არ გახლავთ.

— ვაგონშია, დაუძახეთ!

ექიმი გამორბის და გზა-გზა ხელსა ჰყოფს ტანთ-საცმელში.

— რა ამბავია?

— ავადმყოფია.

— დიზენტერიაა?

— არა, წვეთია.

საჩქაროდ საკაცე გამოუტანეს ვაგონიდგან და საბრალო ზედ დააწვინეს. ახალგაზდას სახე შეშლილი აქვს, ტუჩები დაბერილ-დამახინჯებული. კრიჰა შეჰკვრია და მხოლოდ ჰუ-ჰუ-ჰუ-აუდის. მთლად ცახცახებს. თავი უცანცარებს, ყელი ეგრიხება, თრთის, ხელ ფეხი ეკვლანჭება და აქეთ-იქით ეხლება. მთლად ტანს ბული ასდის... ჰუ-ჰუ-ჰუ..

ექიმმა გული გადუშალა და ყური დაადო. უიმედოდ თავს აქნევს.

— არა ეშველება-რა?

— ვცადოთ

იქვე ახლო ჰაა. ცივი მდვრიე წყალი მოიტანეს. სცდილობს წამლით შეზავებული წყალი ჩაასხას პირში, მაგრამ კრიჰა ვერ გაუღო. ჰუ-ჰუ ჰუ...

— სცივა?—ვიღაც ეკითხება ექიმს.

— არა, ეს ციება არ არის.

— როგორმე დავალევინოთ.

— ახლა ვერას შევსმენთ.

ექიმმა გულ-ყელი და ზურგი მთლად დაუსველა, კათხებით ასხა წყალი, და ის მაინც თავის თვის ჰუ ჰუ-ჰუ-ნებს. ნესტარი დაჰკრა სისხლის გამოსაშვებად, მაგრამ ცვარი არ გადმოვარდა. სისხლი შესდედებია. ქაფური შეასხა ტანში ნესტარით. იმანაც ვერ იმოქმედა!

— ნუ თუ გათავდა?

ექიმი თავს იხრის.

— ესეთი ახალგაზდა...

— ძალიან დაქანცულა.

— ჰუ-ჰუ-ჰუ! ჰუ-ჰუ-ჰუ ..

რამდენი ხანია მას აქეთ და ეს ჰუ-ჰუ-ჰუ ვერ მოვიცილე ყურიდგან.

# ტფილისი

პეტერბურგიდგან კავკასიისაკენ გამოემგზავრა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი სტატს სეკრეტარი ა. ს. ერმოლოვი.

*** დესიმონოვის მოედანზედ შენდება ეკკლესია, რაზედაც ექსარხოსმა მასში აღძრა შუამდგომლობა და ქალაქის გამგეობას სთხოვა დათმობა 350 ოთხკუთხ. საჟ. მიწისა უსასყიდლოდ. ეს ეკკლესია აიგება ალექსი განმანათლებლის სახელობაზედ, — მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსის დაბადების დღის აღსანიშნავად.

*** ამას წინად ქუთათურმა სტამბის პატრონმა ბ-ნმა ალ. ნიკიტინმა შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე ქუთაისში რუსულ ენაზედ გაზეთის გამოცემის შესახებ. ეხლა, «ნოვ. ობ.»-ე იუწყება, რომ ბეჭვდითი საქმის მთავარ გამგეობას ეს შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

*** მთავრობის დაწესებულებებში არიან ისეთი მოხელენი, რომელნიც ითვლებიან სათადარიგო ჯარის კაცებად. რადგანაც ამ ჟამად რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში ჯარის საომარ ფეხზედ დაყენებაა გამოცხადებული და იწვევენ შორეულ აღმ ასავლეთში გასაგზავნად, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, მიწერილობა დაეგზავნა სამოქალაქო დაწესებულებათ. ამ მიწერილობაში ნათქვამია, რომ ყველა იმ მოხელეს, რომელიც, როგორც სათადარიგო ჯარის კაცნი, უნდა გაიგზავნოს შორეულ-აღმოსავლეთში, შეენახება ადგილი და ჯამაგირი მიეცემა, ვიდრე ბრძოლის ველიდგან დაბრუნდებოდესო.

*** ქალაქის საბჭოს ჩვეულებრივი კრებები, ზაფხულის არდადეგის შემდეგ, დაიწყება 13 სეკდემბერიდგან. პირველ განსახილველ საგნად საბჭოს წარედგინება მოხსენება ქალაქის ხორცის დუქნების ოპერაციების შედეგის შესახებ და გარდასწყდება საგანი არსებობისა თუ გაუქმების თაობაზედ.

*** ტფილისის საარტისტო საზოგადოებაში წელს რუსულ დრამის ანტრეპრიზა აიღო ბ-ნმა მეიერხოლდმა. ამ თეატრში სეზონს დაიწყებენ სეკდემბრის 20 რიცხვებში.

*** ამიერ-კავკასიაში რკინის გზათა გამგეობამ ამ დღეებში კიდევ გაჰგზავნა იმიერ-ბაიკალის გზაზედ 14 ბალაჟისა და 64 ტორმოზის კონდუქტორი.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებაში საერობო თანხიდგან გადაიდვა 1,575 მან. სასოფლო-სამკურნალო საქმეთა მოწყობისათვის თანხმად ამ წლის 8 მარტს გამოცემულ კანონისა.

*** ტფილ. სათავად-აზნაურო სასწავლებელში ხელმეორედ გამოცდა ზოგიერთ მოწაფეთა მოეჰხდება 25—31 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1-ლ სეკდემბერს.

*** გამოვიდა ჟურნალ «მოამბის» მე-7 ნომერი (ივლისისა), რომელშიაც, სხვათა-შორის, დაბეჭდილია: 1) „მოჩვენებანი“, დრამა სამ მოქმედებად, ჰენრიხ იბსენისა, თარგმნილი ია ეკალაძის მიერ, და «ღალატი», დრამატიული ლეგენდა ალ. სუმბათაშვილისა (კრიტიკული განხილვა), ი. ხატიაშვილისა. ივლისის წიგნში «მოჩვენებანის» მხოლოდ ერთი მოქმედებაა დაბეჭდილი. კარგს ინებებს ჰატივცემული რედაქცია, თუ აგვისტოს წიგნში მთლად დაჰბეჭდავს, რადგანაც ახლო მომავალში (სეკდემბრის შუა რიცხვებში) უნდა წარმოადგინონ.

*** როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, მთავრობას გადაუწყვეტია, კავკასიის ქალაქებს შემწეობად მისცეს 93,450 მან. ჯარის სადგომთა დასაქირავებლად.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, ქუთაისის სასულიერო სემინარია დაიხურა. საქართველოს დასავლეთ ნაწილის სასულიერო სასწავლებლებში კურს-დასრულებულთა უმრავლესობამ წელს მოაშურა თხოვნებით ტფილისის სასულიერო სემინარიას. რადგანაც ამ სემინარიაში თელა-

ვისა, გორისა და ტფილისის სასულიერო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთათვისაც არ არის საკმაო ადგილი, სემინარიის საპედაგოგიო საბჭოს შეეკითხა სათანადო უმაღლესს მთავრობას, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში და მივიღოთ თუ არა დასავლეთ საქართველოს სასულიერო სწავლებლებში კურს დამთავრებულნიო.

⁎⁎⁎ ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტში საკონკურსო ეგზამენები მოხდება 1-ლ სეკდემბერს. კოჯრიდან ტფილისს მოსწავლენი მოვლენ 31 აგვისტოს.

⁎⁎⁎ ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, განკარგულება მოახდინოს, რომ პოლიციის მე-2 ნაწილში, გიმნაზიურისა და კლასიკურ ქუჩების ტროტუარი დაუყოვნებლივ შეაკეთოს საინჟენერო დისტანციამ.

⁎⁎⁎ მე-5 ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა რ. იოანესიანმა დაანებსა სასანიტარო კომისიას, 24 აგვისტოდგან 24 სეკდემბრამდე პეტერბურგში მივდივარ და მზრუნველად ჩემს მოსვლამდე ჩემი ამხანაგი დავით შადინოვი დანიშეთო.

⁎⁎⁎ პირველ ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა შეატყობინა გუშინ სასანიტარო კომისიას, პოლიციის მე-10 ნაწილში 10 ბავშვი აღმოაჩინე ავადმყოფი და განკარგულება მოახდინეთ მათ შესამოწმებლადაო.

## საქართველოს ამბეში

◆ როგორც ამას წინად ვწერდით, კახეთში ზოგან ვენახს რაღაც სენი გაუჩნდა, მტევანს მარცვლები ულპებოდა და ნელ-ნელა სცვივოდა. დიდი ზარალი ამ სენისაგან მევენახეებს მოსვლიათ აგვისტოს პირველ რიცხვებამდე. როგორც ეხლა «ცნ. ფურ.»-ს ატყობინებენ, ზოგან ამ სენს თავის თავად გაუვლია.

◆ როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, ბათუმში ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი თავს დასცემიან მანთაშევის მყარტელეს. როგორც პალმის გაზეთი გადმოგვცემს, საქმე ასე მომხდარა: 20 აგვისტოს, დილის 12 საათზე, მეარტელე სიჩევს მანთაშევის ქარხანაში მიჰქონდა თურმე 5,800 მანეთი. რა წამს მანთაშევის პირველ ქარხანასთან სიჩევი ეტლიდან გადმომხტარა, ოთხ ბოროტ-მოქმედთ რევოლვერი გაუსროლია და მარცხენა ხელში დაჭრილი სიჩევი ეტლიდან გადმოვარდნილა. სროლის ხმაზე მივარდნილან პოლიციელნი და მეეზოვენი, ბოროტ-განმზრახველთ გამოსდევნებიან პოლიციელნი, მუშები და პოლიციის დარაჯთ პრაპორშჩიკი თავადი ლ. გურიელი და შეუპყრიათ ერთი მათგანი, ვასილ ნოდია. იმავე დღეს შეუპყრიათ აგრეთვე სალაძე, რომელზედაც ეჭვი მიუტანიათ.

◆ როგორც გვატყობინებენ, ახალქალაქის მაზრის სოფ. კრახში საქონლის ჭირი მოსპობილა და კარანტინიც გაუუქმებიათ.

◆ ახალციხის მაზრის უფროსი ბ-ნი პოდგურსკი უკვე დაბრუნდა კერჩიდგან და შეუდგა თავის თანამდებობათა ასრულებას.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

აი რა უამბნია გაზ. «ტანის» კორესპონდენტისათვის კურინოს, რომელიც იაპონიის ელჩად იყო პეტერბურგში,ვიდრე ომი დაიწყებოდა:

უთვალ-ნაირად ვეცადე, რაც კი ძალღონე შემწევდა, რომ ომი აგვეცილებინა თავიდან; მიკადოც ომის წინააღმდეგი იყო და ხელს მიწყობდა, რომ ჩემას მეცადინეობით ხმალ-ამოუწვდელად დამთავრებულიყო რუსეთსა და იაპონიას შორის ატეხილი დავიდარაბა.

არც მე და არც მარკიზი იტო არა ვბრმავდებოდით გატაცებითა და ომი ორივეს ძალიან გვამინებდა. ჩვენ კარგად ვხედავთ, რა გაჭირვებასა და განსაცდელში ჩავარდება იაპონია, უკეთუ ომიანობა გაჩაღდებოდა. ხოლო რა დასაჯერებელია, რომ ასეთი საშინელი სისხლის დვრა მალე გათავდეს. ორნივე მოწინააღმდეგენი შესცდნენ ერთმანერთის შესახებ: რუსებსაც და იაპონელებსაც ეგონათ, რომ საჩქაროზედ გავიმარჯვებთ და ძლევით შევიმოსებითო. ეხლა კი ორნივე ხნობენ, რომ საქმე თითქოს გაჭიანდა და სისხლის დვრამდე მივიდა, ორნივეს ეშინიათ, რომ ამ ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ, რომელსაც მოჰყვება ორთავეს დაუძლურება, გამოვარდება რომელიმე მესამე დიდი სახელმწიფო და ორივეს დაუწევს ჩაგვრასა და მარტო ის გამოიყენებს თავის სასარგებლოდ დღევანდელ ბრძოლის ნაყოფსო.

«ოჰ, რუსეთს რომ სცოდნოდა, რა იყო ნამდვილად იაპონია!»—რამდენჯერმე განიმეორა კურინომ ლაპარაკის დროს.

ვიდრე დღევანდელი ომი დაიწყებოდა, —განაგრძო ბასი კურინომ,—იაპონიის ზოგიერთი დიპლომატი გატაცებული იყო იმ აზრით და ფართო პროექტით, რომ რუსეთთან კავშირი შევკრათ და ერთმანეთის შორის გავანაწილოთ გავლენა შორეულ აღმოსავლეთშიო, მაგრამ რუსეთი მეტად უგულოდ ეკიდებოდა იაპონიას და არაფრად აგდებდა მისს მსჯელობას. ეს იგრძნო ინგლისმა და მისმა დიპლომატიამ ადვილად მოახერხა ასეთის კავშირის შეკვრა იაპონიასთან. შესაძლოა, რომ ამ კავშირმა დიდი და ძლიერი გავლენა იქონია და ასტეხინა იაპონიას ეს საშინელი სისხლი დვრა. (რ. ვ.).

## დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გენერალ ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 20 აგვისტოს: «დღეს, 20 აგვისტოს, ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა სიკვანტუნის სიმაღლეებზე. ეს სიმაღლეები მდებარეობს ლიაოიანის აღმოსავლეთით, ამ ქალაქიდან 16 მილის მანძილზე, მდინარე თაიციხეს მარჯვენა ნაპირზე. ცხარე ბრძოლის შემდეგ, ავიღეთ მთელი ქედი სიკვანტუნის დასავლეთით. ამავე დროს გამოირკვა, რომ ჩვენ საქმე გვქონდა იაპონიის მრავალრიცხოვან ჯართან. ამ ჯარს ეჭირა ადგილები იანტაის მღვიმე-მაღაროებიდან დაწყებული მდინარე თაიციხემდე. იანტაის მღვიმე-მაღაროებს იცავდა გენერალ-მაიორის ორლოვის რაზმი. ეს რაზმი შეიჭრა მტრის მიერ დაჭერილ ადგილებში, მაგრამ იქ იაპონიის ძლიერ ჯარს წააწყდა კარგ პოზიციებზე და იძულებული გახდა უკან დაწეულიყო. გენერალი ორლოვი დაიჭრა, იაპონელები თან მისდევდნენ იანტაის სადგურისკენ დაწეულ ჩვენ რაზმს, მაგრამ განსაცდელი მალე ავიცილეთ თავიდან: ამ დროს მივიდნენ ციმბირის პირველ კორპუსის მამაცი პოლკები და გენერალმა შტაკელბერგმა შეაჩერა წინ მიმავალი იაპონელები. ამ დროს დაიჭრა მამაცი პოლკოვნიკი ოზეროვსკი, ციმბირის მეორე პოლკის უფროსი. საღამოს 9 საათზე ბრძოლა ყველგან შესწყდა. ზარბაზნების სროლის ხმა ისმოდა მხოლოდ ლიაოიანთან. ლიაოიანის მეციხოვნე ჯარმა, როგორც ტელეფონით გვაცნობეს, მოიგერია მეორე იერიშიც. მტრის ჯარის რაოდენობის გამოსარკვევად ჩვენი ორი პოლკი დასავლეთის მხარეს გაემართა. როგორც გამოირკვა, ამ ორ პოლკს დახვდა მტრის ორი დივიზია. ჩვენის ჯარის დღევანდელი ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ, როგორცა სჩანს, მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 3 ათას კაცს უნდა აღემატებოდეს».

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს იმპერატორებით უდიდებულესობას, 21 აგვისტოს. «20 აგვისტოს ღამე იერიშით მოსულმა იაპონელებმა აიღეს იმ პოზიციების უმრავლესობა, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ. ამ პოზიციებზებზე მყოფმა ჩვენმა ჯარმა დაიწია უკან, სოფლებ ჯანსტუნ-შიჩენზენსკენ. ეს ახლო პოზიციები და სიკვანტუნის შუაა. ამავე ღამეს ციმბირის პირველმა კორპუსმა რამდენისამე ვერსით უკან დაიწია და დასავლეთის მხარეს წავიდა. 5 დღის განმავლობაში ამ კორპუსს დიდი ზარალი მოუვიდა და, ამას გარდა, მტრის კარგა ბლომა ჯარმა გზის მოჭრა დაუპირა. ამ გარემოებაში ჩავარდნილმა ბრძანება გავეცი, ჩვენს ჯარს ლიაოიანი დაეცალა და ჩრდილოეთისკენ წასულიყო“.

**ტოკიო**, 20 აგვისტო. (ვოლფ. სააგ.). სეულიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ პეტერბურგში მყოფი კორეის ელჩი იპომჩინი თავის მთავრობის მიერ დათხოვნილ იქმნაო.

**ტოკიო**, 21 აგვისტო. (რეიტ.). ჰფიქრობენ, ოიამას მთავარმა ჯარმა, რომელიც მდინარე თაიციხეს სამხრეთით იყო, დღეს დილით მოახერხა მდინარეზედ გადასვლა. კუროკიმ დაიჭირა ხეიანტაის სიმაღლეების ნაწილი. იგი ჰფიქრობს დღეს დაიჭიროს რკინის გზა. რუსები, როგორც ეტყობა, თავს იყრიან იანტაის ქვა-ნახშირის მღვიმე-მაღაროების მახლობლად.

**ლონდონი**, 21 აგვისტო. (რეიტერი). იაპონიის საელჩომ შემდეგი დეპეშა მიიღო ტოკიოდან: «ოიამა იუწყება, რომ რუსის ჯარი, რომელიც ჩვენის მარცხენა ფრთისა და ცენტრის პირდაპირ იდგა, 20 აგვისტოსაც უკან მიიწევდა თაიძიხეს მარჯვენა ნაპირზედ. უკან არ წასულა მხოლოდ რუსის ის ჯარი, რომელსაც ლიაოიანის სამხრეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ გამწკრივებული სიმაგრეები ეჭირა და აგრეთვე ის სიმაღლე, რომელიც ოუშანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. ჩვენი ჯარი განაგრძობს წინ სწვლას. ჩვენმა პირველმა ლაშქარმა 20 აგვისტოს, დილით, დაიჭირა ზეიანტანუს დასავლეთით მდებარე სიმაღლეების ნაწილი».

«ლოიდ»-ს ატყობინებენ საიგონიდან, რომ შეუდგნენ რუსის დაზიანებულ კრეისერის „დიანა“-ს შეკეთებასა და ნახშირით დატვირთვასო.

**ლონდონი**, 21 აგვისტო. ამბობენ, გენერალმა კუროპატკინმა გამოუცხადა თავისს შტაბს, რომ მიზანს მოვაღწიეთ და იაპონელების ჩრდილოეთისკენ გამოლაშქრება შევაჩერეთ, მაგრამ ამ ჟამად უსათუოდ საჭიროა მუკდენამდის მივიდეთო.

**ვიგო**, 21 აგვისტო. (რეიტერი). მეთევზეებმა ციესის კუნძულის მახლობლად შენიშნეს რუსის კრეისერი «დონ»-ი. ეს კრეისერი ელის, როდის გავა ნავთსადგურიდან ინგლისელთა გემი, რომელიც შესაკეთებლად არის აქ. ხმა დადის, ამ გემზე ნახშირის ქვეშ ზარბაზნებია დამალულიო.

**ცინდაო**, 20 აგვისტო (რეიტერი). დაჭრილ კონტრ-ადმ. მატუსევიჩს საუბარის დროს უთქვამს, თანამედროვე საზღვაო ომში უფრო საყურადღებო უმავთულო ტელეგრაფის მნიშვნელობაა. უკანასკნელ ბრძოლის დროს ასეთ ტელეგრაფს ვხმარობდით იმ დრომდე, ვიდრე ყუმბარებით ყველა აპარატები არ წაგვიხდა. მცურავ ნაღმების წინააღმდეგ ერთი საშუალებაა: უნდა გაიგზავნოს ნაღმის გამანადგურებელნი და იმათ გაჰყვეს ესკადრა. ნაღმიანმა გემებმა იმედი არ გაამართლა. იაპონელთა ნაღმიანმა გემებმა ერთ ღამეს თხუთმეტი იერიში მოიტანეს, მაგრამ უნაყოფოდ. როდესაც რამდენიმე სამხედრო გემი ერთად იცავს თავს პროჟექტორებით, ნაღმიან გემების თავდასხმა საშიში აღარ არის. კრინოლინით ნაღმების წინააღმდეგ მოქმედება უნაყოფოა; იგი მხოლოდ ხელს უშლის გემების მოძრაობას და ჩქარა სიარულს. იაპონელთა მოხსენებანი საზღვაო ბრძოლის შესახებ სრული არ არის, რადგან მალავენ თავიანთ ზარალსაო. მატუსევიჩი ჯერ ისევ ძალიან არის ავად.

**პეტერბურგი.** იმიერ ბაიკალის ყაზახთა ცალკე ბრიგადის უფროსს, მისის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორს პავლე მიშჩენკოს ებოძა ბრილიანტებით მორთული ოქროს ხმალი უსენდიუსთან 10, 13 და 14 ივლისს იაპონელთა მოგერებისათვის. ხმალს აწერია «მამაცობისათვის.»

**ჰელსინგფორსი**, 21 აგვისტო. 6 აგვისტოს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს თავად ობოლენსკის წარუდგა ფინლიანდიელთა დეპუტაცია. ობერ-პასტორმა იოჰანსონმა სიტყვა წარმოსთქვა. თავადმა ობოლენსკიმ მოისმინა სიტყვა და უპასუხა: «როცა მე ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის პასუხსაგებ თანამდებობაზე დამნიშნეს, ხელმწიფე იმპერატორმა გამაბედნიერა მოწყალე საუბრით და მე ნამდვილად დავრწმუნდი, რომ მისი უდიდებულესობა ალსავსეა ფინლიანდელ ქვეშევრდომთა მიმართ სიყვარულითა. ამ ჟამად ყველამ შეიტყეთ უმაღლესი ნება, გასულ ივნისის 17-ს უმაღლესს რესკრიპტში გამოცხადებული; მე ამ რესკრიპტით ვიხელმძღვანელებ ჩემის თანამდებობის ასრულების დროს მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის სიტყვების თანახმად. ჩემ გენერალ-გუბერნატორობის დროს შემოღებული არ იქნება ახალი ღონისძიებანი, საზოგადოებრივ ცხოვრების ძირითად წყობილების შესაცვლელად. იმედი მაქვს, საქმე ისე მოეწყობა, რომ არ იქმნება აღძრული ისეთი საკითხები, რომელსაც შეუძლია ფინლიანდიის ხალხის აღელვება. არ არის დიდი ხანი მას აქეთ, რაც ზოგიერთები იძახოდნენ, მთავრობის მოქმედებამ უსიამოვნება გამოიწვია ფინლიანდიელთა შორისო. მოვგსვლიათ თუ არა ფიქრად, რომ ამაში ბრალი თვით ფინლიანდიელებს უდევთ? გავიხსენოთ უსამართლო კიცხვა რუსეთისა უცხოელ სარევოლიუციო პრესსაში, რომელსაც ფინლიანდიელებმა მხარი მისცეს. ამ გარემოებას უნდა აელელვებინა რუსეთის თვითეული მკვიდრი და განსაკუთრებით გული ატკინა ხელმწიფე იმპერატორს. მე არ მიყვარს კოსმოპოლიტები და პატივს ვცემ ფინლიანდიელებს თავის სამშობლოსა და შინაგან საზოგადოებრივ წყობილების მიმართ, ერთგულობისათვის, მაგრამ, როგორც რუსი, მე გთხოვთ ამგვარსავე პატივის ცემას რუსთა ეროვნების მიმართ. მე ყოველთვის ვიზრუნვებ ფინლიანდიის კეთილ დღეობის დაცვისათვის და მუდამ მზად ვიქმნები კეთილ-განწყობილებით მოვისმინო გულ-ახდილად გამოთქმული თვითეული აზრი, თუნდ რომ თანახმაც არ გავუხდე იმას: ხოლო თქვენგანაც ამგვარსავე ნდობას და გულ-ახდილობას ველი, რომელსაც თავის დღეში არ მოჰყვება ცუდი შედეგი. ჯერ-ჯერობით თქვენ რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილ უცხოელ პრესსისა და რუს რევოლიუციონერთა საშუალებით მიცნობთ, ეცადეთ უფრო დაახლოვებით გამიცნოთ. ჩემთან პირდაპირის ურთიერთობის საშუალებით, და დარწმუნდებით, რომ მე თქვენდამი კეთილ-განწყობილი კაცი ვარ და ყოველთვის გულწრფელად მოვეკიდები თქვენს საჭიროებათ. დარწმუნებული ვარ, რომ კეთილ გონიერებასა და წრფელ ჭეშმარიტებაში ჩვენ ერთობისათვის პატიოსან ნიადაგს მოვიპოვებთ».

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება სენატის მიმართ: სამართლიანად ვსცანით, ებრაელთა შესახებ კანონმდებლობის საერთო გადასინჯვა; ეხლავ შევცვალოთ ზოგიერთი კანონები ებრაელთა შესახებ. ეს კანონები ეხება ებრაელთა საცხოვრებელ ადგილებს იმპერიაში. 1899 წ. კანონი, რომლითაც ებრაელებს აკრძალული აქვთ სხვა და სხვა გუბერნიებში ცხოვრება, ამიერიდგან აღარ შეეხება: ა) ებრაელთ, რომელთაც დაასრულეს იმპერიის უმაღლესი სასწავლებლები, იმათ ცოლებსა და შვილებს:—ვაჟებს, სანამ სრულ-წლოვანნი გახდებიან, ან უმაღლეს სასწავლებელს გაათავებენ და ქალებს გათხოვებამდე; ბ) პირველ გილდის ვაჭარ ებრაელებს, იმათ ოჯახის წევრებსა და აგრეთვე იმ ვაჭარ ებრაელთ, რომელნიც წინად იყვნენ პირველ გილდ. ვაჭრებად 15 წ. განმავლობაში; გ) ებრაელებს, რომელნიც დასახელებულნი არიან 1803 წ. საპასპორტო წესდების მე-17 მუხლში, სანამ ეს ებრაელები ხელოსნებად იქმნებიან და დ) სამხედრო სამსახურიდან გადამდგარ ებრაელ ჯარის-კაცთ.

23 აგვისტო.

**პეტერბურგი.** მიეცათ კარგის სამსახურისათვის გენერალ-მაიორებს გენერალლეიტანტობა: მე-5 აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა დივიზიისას—ალექსეევს; ზაბაიკალის ყაზახთა დივიზიის უფროსს ფონ-რენნენკამფს; უფროსს 1 აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა დივიზიისას გერნგროსს; უფროსს მე-4 აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთ დივიზიისას ფოკს; გენერალ-ლეიტენანტებს გენერალ-ოტიფანტერობა: პრიამურის სამხედრო ოლქის ყაზახთა ჯარების ატამანს ლენევიჩს.

**ტოკიო.** 21 აგვისტო, დილის ექვსს საათზე (ბერლინით). დღემდე იაპონიის სამივე ლაშქარის ზარალი 19 ათასი კაცია; მაგრამ ამბობენ, ზარალი ისე თვალსაჩინოა, რომ ჯერ კიდევ იაპონიაში დარჩენილი მე-7 და მე-8 დივიზიები თავის სათადარიგო ბრიგადებით დაუყოვნებლივ დამზადდება გასაგზანადაო. ამ ჯარების ნაწილი სახალინს წავა. ეს კუნძული იქმნება ბაზად ვლადივოსტოკის ალყის შემოსარტყმელად. დიდს მნიშვნელობას აწერენ ამ კუნძულის მალე ალებასა, რადგანაც ის იაპონიას ეკუთვნოდა.

**ტოკიო.** 21 აგვისტო. (რეიტერი). რკინის გზის წინ ლიაოიანის ჩრდილოეთად მედგარი ომია კიდევ.

**ტოკიო.** 22 აგვისტო. (რეიტერი) დღეს უკანასკნელი ბრძოლა-და ლიაოიანის მიდამოებში.

**პეკინი.** საფრანგეთის ელჩმა მოსთხოვა სამი ბელგიელის მისიონერის მოკვლისათვის შემდეგი: დასჯა ბრალდებულთა, სამსახურიდან დათხოვნა ქალაქპეტის თანაშემწისა და სხვა თანამდებობის კაცთა, რომელთაც არ დაიცვეს ისინი, საავადმყოფოს აშენება ყველა ჩინელთათვის განურჩევლად სარწმუნოებისა, პატივით დასაფლავება დახოცილთა, რავდენიმე ასის დოლარის მიცემა იმ ოთხი ჩინელის სახლობისათვის, რომელნიც მისიონერებთან ერთად დაიხოცნენ. მისიონერებისათვის კი ფულს არა თხოულობენ. ამბობენ, ჩინეთის მთავრობა სიამოვნებით დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებასაო.

**პარიჟი.** 21 აგვისტო. «მატენი» იუწყება იმ კანონმდებლობაზე, რომელიც მინისტრ-პრეზიდენტმა უნდა შეიმუშავოს ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების შესახებ.

**ლონდონი.** მარიენბადიდან მეფე ბუკინგემის სასახლეში მივიდა.

**სტამბოლი.** სამოქალაქო აგენტები და გენერალ-ინსპექტორი ხილმი-ფაშა ერთი კვირის შემდეგ მონასტრიდან უსკიუბს გადავლენ. ბოლგარიიდან იტყობინებიან, მაკედონიის კომიტეტების მოთავეებმა მისწერეს, შეაჩერონ მოძრაობა. კიდევაა შემთხვევები ძალდატანებისა, მაგრამ ამას ჩადიან ან კერძო პირნი, ან ჩვეულებრივი ავაზაკთა ბრბოები.

**ბერლინი**, 21 აგვისტო. ხმაა, გერმანიის კრონპრინცი ინიშნება პრინცესა ცეცილიაზე, დიდის ჰერცოგის მეკლენბურგ-შვერინელის დაზე.

**მილანი**, 21 აგვისტო. მთავარი კომისარი კუნძულ კრიტისა პრინცი გიორგი საბერძნეთისა ებაასა დღეს გარეშე საქმეთა მინისტრს და ჩააბარა ქაღალდი, რომელიც უნდა გაეგზავნოს სახელმწიფოებს კუნძულ კრიტის საქმეთა გამო.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეში გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე 21 აგვისტოს თარიღით: «ამ 21 აგვისტოს დღესა მომეტებული ნაწილი ლაშქრისა, ამათში 1 ციმბირის კორპუსიც, სდგას სამხრეთად რკინის გზისა იანტაის სადგურიდან, 17 ვერსზე ლიაოიანიდან ჩრდილოეთად. დღეს იაპონელებმა, თუმცა ახლო იყვნენ ჩვენი ჯარებიდან, მომეტებულად აგვიტეხეს სროლა მხოლოდ გაოლიანიდან. ჩვენი ჯარები, რომელნიც ლიაოიანში იდგნენ, გადადიან მდინარე თაიციხის მარჯვენა მხარესა, ჯარის სადგომი მთლად დაფარულია გაოლიანითა, გუშინდელ დღეს უკან დაწევა გენერალ-მაიორის ორლოვის რაზმისა მომეტებულად იმან გამოიწვია, რომ გაოლიანიდან ესროდენ. ამ რაზმს შესამჩნევი ზარალი მოუვიდა, ერთს პოლკს 1,500-დე კაცი დააკლდა. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას“.

**ტოკიო.** (რეიტერი). 22 აგვისტოს, დილის 9 საათზე, იაპონელებმა დაიჭირეს ლიაოიანი.

**საიგონი.** (გავასი). კრეისერ «დიანას» უფროსმა თავის მთავრობისგან ბრძანება მიიღო, იარაღი აიყარეო.

**ტოკიო** (რეიტერი). ოიამა იუწყებას 22 აგვისტოს, შუადღისას, რუსებმა დასწვეს ლიაოიანის სადგურს ახლო საწყობები. კუროკიმ საცუგოს დასტოვა ჯარები მარჯვენა ფრთის დასაცავად, თვით კი საოცარის აჩქარებით გაქანდა დასავლეთად, რომ მიეწია რკინის გზამდე და შემოერტყა ლიაოიანისათვის მარცხენა და შუბლის ლაშქარი ჯერ კიდევ აწვებიან რუსებს სამხრეთად და დასავლეთად ლიაოიანიდან.

**ტოკიო.** (რეიტერი) ოიამა ნაშუადღევის პირველ საათზე დეპეშით იწერება: „22 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელმაც მთელი ღამეს გასტანა, დღეს დილით სრულიად დავიპყარით ლიაოიანი. უეჭველია, ჩვენი ზარალი დიდი იქნება.

**კუზნეცკი.** დღეს გაიხსნა ახლად გამართულის წითელის ჯვრის ლაზარეთის სახლი, 25 საწოლითა.

**იზიუმი.** წავიდა შორეულს აღმოსავლეთს რწმუნებული სათავად აზნაურო ცენტრალურ კომიტეტის წითელის ჯვრისა იზიუმის თავად-აზნაურთა წინამძღვარი.

**კიევი.** სოფიას ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და შემდეგ ჯვრით გავიდნენ სოფიას მოედანზე, სადაც ჩიგირინის ეპისკოპოსმა პლატონმა გადაიხადა პარაკლისი, რათა მოგვეციჭოს ძლევა.

**ხაბაროვსკი**. ქალაქის მამულში ოქროს მადანი იპოვეს. კიდევ იკვლევენ.

**სიზრანი**. აკურთხეს წითელ ჯვრის ლაზარეთი, სადაც 50 საწოლია.

**ვოლსკი**. საბჭომ დაადგინა, ტეხნოლოგიურს სკოლებში დააწესონ ათი სტიპენდია მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზე და 10 ათასი მანეთი ეპატიოთ.

**ვორონეჟი.** საბჭომ აპატივა 10 ათასი მანეთი, დაადგინა, გამართოს ორკლასიანი სასწავლებელი, დაარქვას «ალექსის» სასწავლებელი, და მიულოცოს მისს უდიდებულესობას და გამოუცხადოს უქვეშევრდომილესი გრძნობანი.

**მუკდენი**, 22 აგვისტო (რეიტერი). ლიაოიანთან ბრძოლის დროს რუსის არტილერიას დიდი შემწეობა გაუწია ჰაერში აშვებულმა ბურთებმა, რომლითაც იგებდა იაპონელთა ბატარიეიბის ადგილმდებარეობას.—უკან დახევის დროს რუსები იძულებული გახდნენ რამდენიმე ზარბაზანი დაეტოვებინათ, რადგანაც გატანა შეუძლებელი იყო; იაპონიის ყუმბარებმა ჯერ ისევ 18 აგვისტოს უწიეს სადგურ ლიაოიანს და თაიციხის ხიდსა.—ტყვე იაპონელნი ძალიან დაქანცულნი არიან. ზოგიერთებს ორი დღეა არა უჭამიათ-რა. თქეშს არ გადაუღია მთელ იმ დროს განმავლობაში და სულ ერთიან გადასილა სანგრები. ტყვეებს დაგლეჯილი ტანთსაცმელი აცვიათ.

**ლიაოიანი**, 22 აგვისტო. (რეიტერი). კუროკის უმთავრესი სადგომი. უთარიღოდ. ამ ჟამად იაპონელებმა დაიჭირეს ისეთი პოზიცია, რომელიც დასცქერის რკინის გზასა. მკაცრი ბრძოლა ისევაა. უმთავრესს საქმეს არტილერია ასრულებს.

**ტოკიო**, 23 აგვისტო (რეიტერი). გამოცხადდა ის ხელშეკრულობა, რომელზედაც იაპონიის და კორეის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს. საფინანსო და დიპლომატიურ მრჩევლებად კორეის მთავრობასთან დაამტკიცოს მაგატა, დირექტორი სახელმწიფოს შემოსავალთა ბიუროსი, და სტევენსი, იაპონიის მისიის მრჩეველი ვაშინგტონში. ხელშეკრულობის თანხმად, კორეიას არ შეუძლიან საერთაშორისო საქმეები დაიწყოს, მინამ წინად იაპონიას არ გამოსთხოვს აზრსა.

**ტოკიო**, 22 აგვისტო (რეიტერი). 21 აგვისტოს, საღამოს 9 საათამდე, კუროკის ლაშქარს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაჭერილი ის სიმაღლეები, რომლებიც რკინის გზას დასცქერიან. რუსებს ამ მხარეზე შეუწყვეტლივ მოსდით ჯარები მუკდენიდან.

**ვაშინგტონი**, 22 აგვისტო (რეიტერი). სარწმუნო ამბები გვიჩვენებენ, იაპონელნი კმაყოფილდებიან იმით, რომ ლიაოიანს ჩრდილოეთ ბაზად გახდიან, რადგანაც ჰხედავენ, რუსეთი, ემზადება რა საბრძოლველად მომავალ წლისათვის, გამოუგზავნის კუროპატკინს ჯარებსა. იაპონია უკვე ადგენს გეგმას და გაგზავნის მანჯურიაში 200 ათასს კაცსა, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

**ჩიფუ**, 21 აგვისტო. (რეიტერი). პორტ-არტურიდან მოსულნი ჩინელნი ირწმუნებიან, ციხეს დღე და ღამ ესვრიან ყუმბარებსა. სამხედრო გემები ნავსადგურიდან ესვრიან იაპონიის პოზიციებსა.—16 აგვისტოს «ბაიანი», «პერესვეტი» და «პალადა» გავიდნენ ნავსადგურიდან ორი მილის სიშორეზე და დაუწყეს იაპონელებს სროლა.—იაპონიის ესკადრა ჰორიზონტზედ ჩნდა, მაგრამ რუსებზედ იერიში არ მიუტანიათ. «პერესვეტს» მოჰხვდა ერთი ყუმბარა ხმელეთიდან და 15 კაცი მოჰკლა. დაზიანებულ გემებს შეუწყვეტლივ აკეთებენ. «სევასტოპოლს» 28 ივლისის ბრძოლაში შესამჩნევი ზიანი არ მოსვლია. ორს ნაღმოსანს დასავლეთ ბასეინში აკეთებენ. დაჭრილები ჰყავთ საავადმყოფოში და გემებზე «მონგოლიაზედ» და «ყაზანზედ», აგრეთვე კერძო სახლებში. ფიქრობენ განაახლონ ერთიანი იერიში.—პორტ-არტურიდან მოსული ჩინელი ამბობს, 16 აგვისტოს იაპონელნი მოულოდნელად დაეცნენ პალიჯუანს, აიღეს პოზიციები და რუსებს დიდი ზიანი მიაყენეს. 17 აგვისტოს იაპონელთ რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ერლუნგაშანზედ, მაგრამ მოიგერეს. იმათ ორასამდე კაცი დააკლდათ. 18 აგვისტოს იაპონელნი ეცნენ ფორტს ერლუნგაშანის ახლო. რუსებმა შვიდი საათის ბრძოლის შემდეგ დაიწიეს. მაგრამ საშინელმა სროლამ სხვა ფორტებიდან იძულებულ ჰყო იაპონელნი, მიეტოვებინათ პოზიცია. ქალაქს შეუწყვეტლივ ესვრიან ყუმბარებსა.

**ჩიფუ**. (რეიტერი). იაპონელნი უარს ამბობენ ერთიან იერიშის შესახებ პორტ-არტურზედ და პოზიციებზედ სდგამენ 400 ზარბაზანს, რათა შეუწყვეტელი ზარბაზნის სროლით ჩააჩუმონ რუსის ბატარეები და შემდეგ მიიტანონ იერიში. ირწმუნებიან, რომ ნოგი სულით დაძაბუნდა. ლიაოტეშანზე გასკდა გემის დიდი ზარბაზანი.

— ადმირალ მატუსევიჩს, რომელიც ძინტოუში იმყოფება, მოსვენებას აძლევენ და სთხოვენ ომის შესახებ თავის აზრის გაზიარებას. ადმირალმა უთხრა „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტს: «მე არასოდეს არ მიმიცია ვინმესთვის და არც მივსცემ ამგვარს ცნობებს. მე დავრწმუნდი მხოლოდ, რომ „ცესარევიჩზედ“ იაპონელთა ნაღმოსნებისაგან რამდენჯერმე მიტანილმა იერიშმა დაამტკიცა, რომ ნაღმოსნები ძლიერ საშიშო არაა ჯავშნიან გემებისათვის გაშლილს ზღვაში».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

20 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,25 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . | 45,97½ |
| პარიჟში 100 ფრანკში . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,70 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . ,, . . . . . . | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . | 92⅛ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 88¾ მშ3 |
| 5% პირ. შინაგ. მომგ.ბილ. 1864 წ. | 386½ წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 299 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 255½ ნ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |



# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. გ. თოფურ ას**

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო შ ი,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.




## „ცოდნა“-ს წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

| | |
|---|---|
| რაჭა სოსიკო მერკვილაძისა. . . . | 20 კ. |
| ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით | 15 კ. |
| რაში. ბედნიერება? იასე რაჭველისა . | 10 კ. |
| სამშობლო და კაცობრიობა ნათ. . | 10 კ. |
| სიმღერა აკაკისა სურათით . . . . | 15 კ. |
| წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა . . . | 5 კ. |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. . . | 20 კ. |
| კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა | 50 კ. |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული . . . | 50 გ. |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა. . . | 2 მ. 50 კ. |
| სახოკიასი რუსულ-ქართულად. . . | 20 კ. |
| სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი | 5 კ. |
| ბაში აჩუკი აკაკისა . . . . . . | 30 კ. |
| ვაჭრული ჭკუა აკაკისა . . . . . | 5 კ. |
| პატარა ჩონგური (დედა ენა) . . . | 5 კ. |
| თათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი, როსტ. | 5 კ. |
| ოქრუა (ხალხური ზღაპარი) . . . | 5 კ. |
| ორი ქოსატყუილა<br>ბიჭია მენახირე ხალხური ზღაპარი.<br>მეფე და სკვინჩა | 10 კ. |
| აბრამის და იობის ლექსი . . . . | 3 კ. |
| თამარ მეფე სურათით . . . . . | 5 კ. |
| სურათი თამარ მეფისა დიდი . . . | 1—50 კ. |
| » » » პატარა. . . » | 6 კ. |
| თხზულება ია. ეკალაძისა . . . . | 1— ,, |
| ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა . . . | ,,—30 კ. |
| თარგმანი იგივე რუსულად . . . . | ,,—50 კ. |
| დამაკვირდი, ბრძენთა აზრები . . . | ,,—50 კ. |
| მამიდა ასმათი გ. წერეთლისა . . . | ,,—20 კ. |
| თავ გადასავალი აკაკისა . . . . | 1—,, ,, |
| სიტყვიერების თეორია ე. კ. . . . | 1—,, ,, |
| გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი | 1—80 კ. |
| დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი . . | 1—,, ,, |
| ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ. | 9— ,, ,, |
| ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით . | 3— ,, ,, |
| ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტინიკრ. | 1—60 კ. |
| ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა | 1— ,, კ. |
| ვახუშტის გეოგრაფია . . . . . . | 1— ,, ,, |
| ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ | ,,—50 კ. |
| ვეფხვის ტყაოსანი ნ. კ. გამოცემული. | ,,—60 კ. |
| მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა. | 2—,, ,, |
| დავით გურამიშვილი . . . . . . | 1— ,, ,, |
| ქართლის ცხოვრება I, II და III. . | 1—80 ,, |
| Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп. | „—40 к. |
| Исторія Грузинск. церк. Е. К. | 2 р. „ „ |
| კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა . | 1—,, ,, |
| ამირან-დარეჯანიანი . . . . . . | 1—,, ,, |
| ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტის . | 1—,, ,, |
| რამას განდევნა ალ. ს—შლისა. . . | ,,—40 კ. |

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟაფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

| | |
|---|---|
| საქართველოს დიდება, დიდი სურათი საბინისასა . . . | 1—20 კ. |
| ქართველ მწერალთა და მსახიობთა სურათები საფოსტო ღია ბარათზე თითო. | ,,—5 კ. |

**აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.**

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაარს ფერს ზეთით გადესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილს მე თითონაც დაუხედავ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყოველნაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50%-ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადოლფ თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—16)

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვათ, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირ ის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . | 2.664.808 მან. |

### დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, აირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსთფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში. მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)



1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა

# რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა

# პ ე ტ ე რ ბ უ რ გ შ ი

## დაარსებული 1860 წელს

სთხოვენ მყიდველთ: **რეზინის კალოშებისა** ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:




განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი). (60—39).


Дозволено цензурою Тифлисъ 23 августа 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи